

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის კონსოლიდირებული დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	11
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	13
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	15
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მფლობელებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებასა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძველის პარაგრაფში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში, ჯგუფის ძირითადი საშუალებების „შენობა-ნაგებობების“, „ავტოსა და ინვენტარის“, „ოფისის აღჭურვილობისა“ და „სატრანსპორტო საშუალებების“ ჯგუფების საბალანსო ღირებულება შეადგენს 1 713 780 ლარს. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ძირითადი საშუალებების დიდი ნაწილი არის სრულად გაცვეთილი, (დამატებით იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4.1). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ დავრწმუნდით რომ ჯგუფი „მსს ფასს“ მე-17 განყოფილება „ძირითადი საშუალებები“ მოთხოვნების შესაბამისად ყოველწლიურად ახდენს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვას, რისი უზულველყოფა წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებიდან გადახედვას. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა აღნიშნული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2024 და 2023 წლის ცვეთის ხარჯი. ასევე ჩვენ ვერ შევძელით განგვეახდერა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან/და ფინანსური ანგარიშგების შესაბამის სხვა ანგარიშგებებში/ელემენტებში.

როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების 4.1-შენიშვნაში, ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0(ნოლ) ლარს. ჯგუფი საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს. „მსს ფასს“ მე-16 განყოფილება „საინვესტიციო ქონების“ მოითხოვს თვითღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებისთვის ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარდგენილ იქნას მათი სამართლიანი ღირებულება, აღნიშნული ინფორმაცია კი არ არის წარდგენილი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც წარმოადგენს „მსს ფასს“ მე-16 განყოფილება „საინვესტიციო ქონების“ მოთხოვნების უზულველყოფას.

აუდიტის პროცესში აღმოჩნდა რომ ჯგუფი ფლობს შენობა-ნაგებობას, რომელიც ხელშეკრულების თანახმად გაქირავებულია დაკავშირებულ კომპანიაზე, მაგრამ ჯგუფის მენეჯმენტის განმარტებით არ მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას აღნიშნული იჯარიდან და შესაბამისად კლასიფიცირდა როგორც ძირითადი საშუალება. რეალურად ჯგუფი ფლობს აღნიშნულ შენობა-ნაგებობას მომავალში ღირებულების ზრდის მიზნით ან მომავალში სხვა საიჯარო ხელშეკრულების გაქირავების მიზნით. გამომდინარე აქედან ჩვენ ვერ დავრწმუნდით რომ

აღნიშნული შენობა-ნაგებობა სწორად არის აღრიცხული/ კალისიფიცირებული „მსს ფასს“ მე-17 განყოფილება ძირითადი საშუალებების შესაბამისად, რაც წამოადგენს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების უგულველყოფას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისაგან“ იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 8 აგვისტოს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხედენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოთათვის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნინო ღუდუშაური



(სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-588071)

შპს ფი ქეი ეფ ჯორჯიას სახელით (ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის ქ. #3, თბილისი 1079, საქართველო

31 ივლისი 2025 წელი.

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023* (გადაანგარიშებული)	01.01.2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,231,454	3,425,716	3,409,304
არამატერიალური აქტივები	5	5,507	7,664	10,055
ინვესტიციები	6	9,494	9,494	9,494
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,246,455	3,442,874	3,428,852
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	4,864,430	5,310,241	5,173,477
სავაჭრო მოთხოვნები	8	3,282,532	2,888,837	2,964,491
გაცემული სესხები	9	-	-	2,642
გაცემული ავანსები	10	296,660	337,878	526,504
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,879,308	1,355,228	671,277
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,322,930	9,892,184	9,338,392
სულ აქტივები		13,569,385	13,335,058	12,767,244
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი	12	2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		12,616,402	12,048,002	11,673,159
სულ მშობელი კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		12,618,402	12,050,002	11,675,159
არამაკონტროლებელი წილი		87,875	63,575	39,283
სულ კაპიტალი		12,706,277	12,113,577	11,714,442
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	863,108	1,071,482	1,052,802
მოკლევადიანი სესხი	14	-	150,000	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		863,108	1,221,482	1,052,802
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13,569,385	13,335,058	12,767,244

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია 24-ე შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023* (ადაპტირებული)	01.01.2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,231,454	3,425,716	3,409,304
არამატერიალური აქტივები	5	5,507	7,664	10,055
ინვესტიციები	6	9,494	9,494	9,494
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,246,455	3,442,874	3,428,852
მოკლევადიანი აქტივები				
ნარჩები	7	4,864,430	5,310,241	5,173,477
საექსპოზიციო მოთხოვნები	8	3,282,532	2,888,837	2,964,491
გაცემული სესხები	9	-	-	2,642
გაცემული ავანსები	10	296,660	337,878	526,504
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,879,308	1,355,228	671,277
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,322,930	9,892,184	9,338,392
სულ აქტივები		13,569,385	13,335,058	12,767,244
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი	12	2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		12,616,402	12,048,002	11,673,159
სულ მშობელი კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		12,618,402	12,050,002	11,675,159
არამაკონტროლებელი წილი		87,875	63,575	39,283
სულ კაპიტალი		12,706,277	12,113,577	11,714,442
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საექსპოზიციო და სხვა ვალდებულებები	13	863,108	1,071,482	1,052,802
მოკლევადიანი სესხები	14	-	150,000	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		863,108	1,221,482	1,052,802
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13,569,385	13,335,058	12,767,244

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია 24-ე შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023* (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	15	13,692,502	12,758,490
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(4,735,725)	(4,562,608)
საერთო მოგება		8,956,778	8,195,883
კომერციული დანახარჯები	17	(3,039,008)	(2,936,759)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(4,970,539)	(4,669,027)
საოპერაციო მოგება		947,230	590,096
ფინანსური შემოსავალი	19	45,298	22,226
ფინანსური ხარჯი	20	(80)	-
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	21	(8,397)	(20,071)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	124,532	(37,169)
მოგება დაბეგვრამდე		1,108,583	555,082
მოგების გადასახადის ხარჯი	23	-	-
წლის მოგება		1,108,583	555,082
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		1,108,583	555,082
მისაკუთვნიებული თანხა:			
სათაო საწარმოს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეებზე		1,084,283	530,790
არამაკონტროლებელ წილზე		24,300	24,292

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია 24-ე შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

შპს ზაქურ სოლგაკაურის გამოცემლობა
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023* (გადანგარიშებული)
შემოსავალი	15	13,692,502	12,758,490
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(4,735,725)	(4,562,608)
საერთო მოგება		8,956,778	8,195,883
კომერციული დანახარჯები	17	(3,039,008)	(2,936,759)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(4,970,539)	(4,669,027)
საოპერაციო მოგება		947,230	590,096
ფინანსური შემოსავალი	19	45,298	22,226
ფინანსური ხარჯი	20	(80)	-
ზარალი საგაღებო ოპერაციებიდან	21	(8,397)	(20,071)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	124,532	(37,169)
მოგება დაზღვევამდე		1,108,583	555,082
მოგების გადასახადის ხარჯი	23	-	-
წლის მოგება		1,108,583	555,082
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		1,108,583	555,082
მისაკუთვნებელი თანხა:			
სათაო საწარმოს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეებზე		1,084,283	530,790
არამაკონტროლებელ წილზე		24,300	24,292

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია 24-ე შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი



ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი



შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	13,040,093	12,314,573
მომწოდებლებზე და მომსახურებაზე გადახდილი ფული	(6,846,901)	(6,551,068)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(2,835,425)	(2,600,602)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(1,029,920)	(898,755)
გადახდილი მოგების გადასახადი	(54,154)	(128,511)
როიალტიდან მიღებული შემოსავლები	418,768	411,473
გადახდილი როიალტი	(1,386,246)	(1,382,693)
სხვა საოპერაციო შემოსავალ-გასავალი	(31,226)	(75,700)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,274,988	1,088,717
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(171,523)	(450,750)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	6,631	11,281
გაცემული სესხის დაბრუნება	4,000	2,536
ბანკის დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	45,298	22,226
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაში	(115,594)	(414,707)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	291,870	260,000
კაპიტალის შევსება პარტნიორთა მიერ	-	500
კაპიტალის შემცირება პარტნიორთა მიერ	(6,150)	-
მიღებული გრანტები	-	19,691
გადახდილი დივიდენდები	(490,089)	(148,150)
გადახდილი პროცენტები	(80)	-
სესხების დაფარვა	(442,103)	(110,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობაში	(646,552)	22,041
	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	512,842	696,050
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,355,228	671,277
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა	11,237	(12,099)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,879,308	1,355,228

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

შპს ბაკურ სულაკაურის გამოშვებულმა
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოძმარებლებისგან მიღებული ფული	13,040,093	12,314,573
მომწოდებლებზე და მომსახურებაზე გადახდილი ფული	(6,846,901)	(6,551,068)
დასაქმებულზე გადახდილი ფული	(2,835,425)	(2,600,602)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(1,029,920)	(898,755)
გადახდილი მოგების გადასახადი	(54,154)	(128,511)
როიალტიდან მიღებული შემოსავლები	418,768	411,473
გადახდილი როიალტი	(1,386,246)	(1,382,693)
სხვა საოპერაციო შემოსავალ-გასავალი	(31,226)	(75,700)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,274,988	1,088,717
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(171,523)	(450,750)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	6,631	11,281
გაყიდვით სესხის დაბრუნება	4,000	2,536
ბანკის დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	45,298	22,226
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაში	(115,594)	(414,707)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	291,870	260,000
კაპიტალის შეცვლა პარტნიორთა მიერ	-	500
კაპიტალის შეცვლა პარტნიორთა მიერ	(6,150)	-
მიღებული გრანტები	-	19,691
გადახდილი დივიდენდები	(490,089)	(148,150)
გადახდილი პროცენტები	(80)	-
სესხების დაფარვა	(442,103)	(110,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობაში	(646,552)	22,041
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	512,842	696,050
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	1,355,228	671,277
საკურსო სხვაობის ექვივალენტის გაუქმება	11,237	(12,099)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,879,308	1,355,228

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ჯგუფი
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
01.01.2023	2,000	11,673,159	39,283	11,714,442
წლის მოგება/(ზარალი)	-	530,790	24,292	555,082
(გადაანგარიშებული)	-			
გაცემული დივიდენდები	-	(155,947)	-	(155,947)
ოპერაციები მფლობელებთან		(155,947)	-	(155,947)
31.12.2023* (გადაანგარიშებული)	2,000	12,048,002	63,575	12,113,577
წლის მოგება/(ზარალი)	-	1,084,283	24,300	1,108,583
(გადაანგარიშებული)	-			
გაცემული დივიდენდები	-	(515,883)	-	(515,883)
ოპერაციები მფლობელებთან		(515,883)	-	(515,883)
31.12.2024	2,000	12,616,402	87,875	12,706,277

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია 24-ე შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ჯგუფი
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საქვადები კაპიტალი	კუმულირებული მოცუბა	არამკონტროლებელი წილი	სულ
01.01.2023	2,000	11,673,159	39,283	11,714,442
წლის მოგება/(ზარალი)	-	530,790	24,292	555,082
(გადაანგარიშებული)	-			
გაყიებული დივიდენდები	-	(155,947)	-	(155,947)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(155,947)	-	(155,947)
31.12.2023* (გადაანგარიშებული)	2,000	12,048,002	63,575	12,113,577
წლის მოგება/(ზარალი)	-	1,084,283	24,300	1,108,583
გაყიებული დივიდენდები	-	(515,883)	-	(515,883)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(515,883)	-	(515,883)
31.12.2024	2,000	12,616,402	87,875	12,706,277

* ზოგიერთი წარგენები თანა არ შეესაბამება 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია 24-ე შენიშვნაში წარდგენილი კორექტირების შემდეგ

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა რეგისტრირებულია 1999 წლის 30 ივნისს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 204931164.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგამომცემლო საქმიანობა და წიგნებით ვაჭრობა.

იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი დავით აღმაშენებლის გამზ N150.

საშუალო დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წელს იყო 150 თანამშრომელი, ხოლო 2024 წელს 161 თანამშრომელი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორები არიან:

- თინათინ მამულაშვილი (01018000166) - 50%;
- ბაკურ სულაკაური (01008002734) -50%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შვილობილ საწარმოს წილობრივი მონაწილეობით:

შპს „აპრილი“ 49 % წილი

ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიანობას წარმოადგენს საგამომცემლო საქმიანობა და წიგნებით ვაჭრობა.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების დადებითი სალდო, მიუხედავად კომპანიის ოპერაციების ზარალისა მენეჯმენტისა და პარტნიორების მოლოდინით ჯგუფს საჭიროების შემთხვევაში არ შეეზღუდება ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR	GBP
31-დეკ-2024	2.8068	2.9306	3.5349
31-დეკ-2023	2.6894	2.9753	3.4228
31-დეკ-2022	2.7020	2.8844	3.2581

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდითაა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და

ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიას საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიას მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	შეფასებული მომსახურების ვადა
შენობები	20 -50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-8 წელი
ავეჯი და ინვენტარი	3-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს მის ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად, თვითღირებულებით, რომელიც მცირდება ცვეთითა და გაუფასურების ზარალით.

საინვესტიციო ქონება არ აღირიცხება შეფასებული ღირებულებით, რადგან ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ ასეთ აღრიცხვასთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იყო სააღრიცხვო პერიოდისთვის შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი არის ძალიან მცირე;

ჯგუფის თანამშრომლებს არ აქვთ სპეციფიკური ცოდნა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დასადგენად.

მომავალ სააღრიცხვო პერიოდისთვის, თუ შესაძლებელი იქნება, გონივრული დანახარჯების პირობებში საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი გეგმავს საინვესტიციო ქონების აღრიცხვა რეალური ღირებულების მოდელით განხორციელდეს.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენსასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ჯგუფი ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, ჯგუფი აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

იმ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონ-სტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს. ასევე, კონტროლი იმ შემთხვევაშიც არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარს ან ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ ამასთან:

(ა) საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის ფლობის უფლებამოსილება განმტკიცებულია სხვა ინვესტორებთან შეთანხმების ძალით;

(ბ) საწარმოს მიერ ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება განმტკიცებულია წესდებით ან რაიმე შეთანხმებით

(გ) საწარმოს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ დანიშნოს ან გაათავისუფლოს მოცემული საწარმოს დირექტორთა საბჭოს ან სხვა ანალოგიური მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა და ეს საბჭო ან ორგანო აკონტროლებს ამ საწარმოს; ან

(დ) საწარმოს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ ხმის უმრავლესობით ზეგავლენა მოახდინოს მოცემული საწარმოს დირექტორთა საბჭოს ან სხვა ანალოგიური მმართველობითი ორგანოს სხდომებზე და ეს საბჭო ან ორგანო აკონტროლებს ამ საწარმოს.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ და მისი შვილობილი კომპანიის შპს „აპრილის“ ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დედა კომპანიას აქვს 49 % წილი შვილობილში, თუმცა სრულად აკონტროლებს მას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზეგასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცეობა.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი აქვს ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს იღებს საგამომცემლო საქმიანობიდან და წიგნებით ვაჭრობიდან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრეიკო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა	ნაგებობები	ველი და სხვა ინვენტარი	ოფისის აქტუერულობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01.01.2023	1,347,546	2,250	2,291,209	244,308	707,790	448,253	256,642	217,448	5,515,446
შეძისვლა	-	-	-	-	83,851	57,146	27,444	58,961	227,401
კაპიტალიზაცია	-	-	176,372	-	-	-	-	-	176,372
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-	-	(19,280)	(13,756)	(1,800)	-	(34,835)
შემცირება რეალურიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	(18,047)	-	(18,047)
31.12.2023	1,347,546	2,250	2,467,581	244,308	772,361	491,643	264,239	276,409	5,866,337
შეძისვლა	-	-	-	-	87,873	38,823	22,023	-	148,719
კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	-	-	72,802	72,802
შემცირება რეალურიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	(19,320)	-	(19,320)
31.12.2024	1,347,546	2,250	2,467,581	244,308	860,234	530,466	266,943	349,211	6,068,538
დაგროვილი ცვეთა									
01.01.2023	-	-	(799,985)	(244,331)	(483,634)	(363,892)	(145,549)	(68,751)	(2,106,142)
პერიოდის ცვეთა	-	-	(136,540)	23	(110,842)	(48,628)	(31,739)	(49,108)	(376,834)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-	-	19,280	13,756	1,800	-	34,835
შემცირება რეალურიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	7,519	-	7,519
31.12.2023	-	-	(936,525)	(244,308)	(575,196)	(398,765)	(167,968)	(117,859)	(2,440,621)
პერიოდის ცვეთა	-	-	(141,913)	-	(119,719)	(49,069)	(26,685)	(69,703)	(407,088)
რეკლამაციები	-	-	-	-	-	-	(6,228)	6,228	-
შემცირება რეალურიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-	10,626	-	10,626
31.12.2024	-	-	(1,078,438)	(244,308)	(694,915)	(447,833)	(190,256)	(181,333)	(2,837,083)
საბალანსო ღირებულება									
01.01.2023	1,347,546	2,250	1,491,224	(23)	224,156	84,361	111,093	148,697	3,409,304
31.12.2023	1,347,546	2,250	1,531,056	-	197,165	92,878	96,271	158,550	3,425,716
31.12.2024	1,347,546	2,250	1,389,143	-	165,318	82,633	76,687	167,878	3,231,454

ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული მესამე პირის სასარგებლოდ და არც უზრუნველყოფილია რაიმე ტიპის ჯგუფის ვალდებულებისათვის.

2023 წელს 35,963 ლარი ასახულია კომერციულ ხარჯებში, ხოლო დანარჩენი 346,382 ლარი საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2024 წელს 28,797 ლარი ასახულია კომერციულ ხარჯებში, ხოლო დანარჩენი 383,382 ლარი საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.1 ძირითადი საშუალებების დამატებითი შენიშვნა

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის დიდი რაოდენობა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება სრულად გაცვეთილია, ასეთი ძირითადი საშუალებების ღირებულება ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის
(კარტულ ლარში)

	ისტორიული ღირებულება 31.12.2023 წლისათვის	დაგროვილი ცვლილება 31.12.2023 წლისათვის	ისტორიული ღირებულება 31.12.2024 წლისათვის	დაგროვილი ცვლილება 31.12.2024 წლისათვის
სანქტ-პეტერბურგის ქ. #12-ში განთავსებული შენობა - ნაგებობა,	256,954	(256,954)	256,954	(256,954)
შენობების სხვადასხვა ნაგებობები	244,308	(244,308)	244,308	(244,308)
ოფისის არქუვილიობა	300,342	(300,342)	415,200	(415,200)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	297,578	(297,578)	433,400	(433,400)
სატრანსპორტო საშუალებები	120,200	(120,200)	120,200	(120,200)
	1,219,382	(1,219,382)	1,470,062	(1,470,062)

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	საბუღალტრო პროგრამა	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზია	სხვა არამატერიალური აქტივები	შრიფტი	სულ
01.01.2023	79,809	38,402	5,368	42,349	8,758	174,686
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31.12.2023	79,809	38,402	5,368	42,349	8,758	174,686
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31.12.2024	79,809	38,402	5,368	42,349	8,758	174,686
დაგროვილი ამორტიზაცია						-
01.01.2023	(79,809)	(38,131)	(4,747)	(41,944)		(164,631)
პერიოდის ამორტიზაცია	-	(246)	(299)	(136)	(1,752)	(2,433)
გასვლა	-	-	20	22	-	42
31.12.2023	(79,809)	(38,377)	(5,026)	(42,058)	(1,752)	(167,022)
პერიოდის ამორტიზაცია	-	-	(279)	(127)	(1,752)	(2,158)
31.12.2024	(79,809)	(38,377)	(5,305)	(42,185)	(3,503)	(169,179)
საბალანსო ღირებულება						-
01.01.2023	-	271	621	405	8,758	10,055
31.12.2023	-	25	342	291	7,006	7,664
31.12.2024	-	25	63	164	5,255	5,507

არამატერიალური აქტივები არ არის დაფირავებული მესამე პირის სასარგებლოდ და არც უზრუნველყოფილია რაიმე ტიპის კომპანიების ვალდებულებისათვის.

6. ინვესტიციები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს 5%-იან წილს (2015 წლის 5 მარტიდან) საწარმოში - შპს გამომცემლობა ინდიგო (ს.ნ 405089434).

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
	თვითღირებულება		
შპს გამომცემლობა ინდიგო	9,494	9,494	9,494
სულ გრძელვადიანი ინვესტიციები	9,494	9,494	9,494

15-33 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

7. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023 გადანერგებული	01.01.2023
საქონელი/შპს პროდუქცია	4,851,022	5,297,475	5,164,657
სხვა მარაგები	13,408	12,766	8,820
სულ	4,864,430	5,310,241	5,173,477

ჯგუფი უმოდრაო მარაგებს განიხილავს გაუფასურებაზე. ჯგუფი აღიარებს გაუფასურებას, როდესაც მათი გაყიდვა აღარ არის მოსალოდნელი შემცირებული მოთხოვნის გამო. საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ არ აქვს მარაგი, რომელზეც მოთხოვნა შემცირებულია, შესაბამისად არ მომხდარა გაუფასურებული მარაგის ჩამოწერა.

ჯგუფის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

2024 წელს რეალიზაციის თვითღირებულებაში აისახა 4,735,725 ლარის ღირებულების მარაგები, ხოლო 2023 წელს 4,562,608 ლარის ღირებულების მარაგები.

8. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023 გადანერგებული	01.01.2023
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	3,494,655	3,163,674	3,114,186
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების რეზერვი	(212,123)	(274,837)	(149,695)
სულ	3,282,532	2,888,837	2,964,491

სავაჭრო მოთხოვნის ანარიცხი	31.12.2024	31.12.2023
ანარიცხი 1 იანვრისთვის	(274,837)	(149,695)
აღიარებული ანარიცხი წლის მანძილზე		(134,005)
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა		
სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	62,714	8,863
ანარიცხი 31 დეკემბრისთვის	(212,123)	(274,837)

9. გაცემული სესხები

	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხი 1 იანვრისთვის	69,500	72,143
წლის მანძილზე დაბრუნებული სესხი	(21,922)	(2,643)
გაცემული სესხი 31 დეკემბრისთვის	47,578	69,500
გაცემული სესხებისთვის ანარიცხი	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხის ანარიცხი 1 იანვრისთვის	69,500	69,500
წლის მანძილზე ანარიცხის აღდგენა	(21,922)	
გაცემული სესხის ანარიცხი 31 დეკემბრისთვის	47,578	69,500
სულ გაცემული სესხი 31 დეკემბრისთვის	-	-

10. მოწოდებაზე და მომსახურების გაწევაზე გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მომწოდებელზე და მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	160,621	197,054	382,646
ავანსად გადასახდელი როიალტები	64,693	56,294	75,891
სხვა ავანსები	71,347	101,459	107,329
გაუფასურების რეზერვის ანარიცხები	-	(16,927)	(39,362)
სულ გაცემული ავანსები	296,660	337,878	526,504

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,070,320	1,188,579	365,823
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	759,281	102,225	252,518
ნაღდი ფული სალაროში	49,708	64,424	52,937
სულ	1,879,308	1,355,228	671,277

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალს საანგარიშგებო პერიოდში ცვლილება არ განხორციელებულა. 2024 წელს ჯგუფმა გასცა დივიდენდი 515,883 ლარი, ხოლო 2023 წელს 155,947 ლარი.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო ვალდებულებები	526,087	804,153	744,801
მიღებული ავანსები	77,534	74,025	118,728
როიალტის ვალდებულება	171,750	112,140	111,959
სხვა ვალდებულებები	1,833	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	85,904	81,164	77,313
სულ	863,108	1,071,482	1,052,801

14. მიღებული სესხი

შენიშვნა: დაკავშირებული მხარისგან სულაკაურის გამომცემლობიდან მიღებულია უპროცენტო სესხი

	მიმდინარე	
	31.12.2024	31.12.2023
სესხი 1 იანვრისთვის	150,000	-
მიღებული სესხები დაკავშირებული მხარისგან	290,000	260,000
სესხის დაფარვა	(440,000)	(110,000)
სესხი 31 დეკემბრისთვის	-	150,000

15. შემოსავალი

	2024	2023 გადაანგარიშებული
შემოსავლები წიგნების გაყიდვიდან	16,447,699	16,220,355
შემოსავალი საკანცელარიო საქონლის გაყიდვებიდან	861,300	792,985
საავტორო უფლების გამოყენებით მიღებული შემოსავლები	418,768	411,473
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(4,051,808)	(4,666,322)
სხვა შემოსავალი	16,544	-
სულ შემოსავალი	13,692,502	12,758,490

16. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023 გადაანგარიშებული
რეალიზებული წიგნების თვითღირებულება	(5,858,425)	(6,031,581)
რეალიზებული საკანცელარიო დანიშნულების საქონლის თვითღირებულება	(460,958)	(455,687)
დაბრუნებული საქონლის თვითღირებულება	1,583,658	1,924,660
სულ	(4,735,725)	(4,562,608)

17. კომერციული დანახარჯები

	2024	2023
მიწოდების ხარჯები	(1,677,195)	(1,634,467)
ოჯარა	(893,622)	(772,316)
მარკეტინგის ხარჯები	(351,028)	(407,224)
საწვავი	(47,395)	(43,623)
ტრანსპორტის მომსახურება	(40,971)	(43,166)
ცვეთა/ამორტიზაცია	(28,797)	(35,963)
სულ	(3,039,008)	(2,936,759)

18. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასი	(3,817,105)	(3,450,657)
ცვეთა/ამორტიზაცია	(385,540)	(348,816)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	(106,758)	(133,093)
მივლინების ხარჯი	(103,316)	(105,316)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(102,488)	(98,549)
საბანკო მომსახურების ხარჯები	(93,390)	(80,304)
საგადასახადო ხარჯი ხარჯი	(103,370)	(178,726)
რემონტი	(26,728)	(13,873)
დაზღვევის ხარჯები	(21,228)	(20,606)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(15,345)	(24,102)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(3,189)	(2,921)
სხვა ხარჯები	(192,082)	(212,064)
სულ	(4,970,539)	(4,669,027)

19. ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
სარგებელი საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტიდან	45,298	22,226
სულ	45,298	22,226

20. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(80)	-
სულ	(80)	-

21. მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
საკურსო სხვაობის შემოსავალი	48,933	30,643
საკურსო სხვაობის ხარჯი	(57,329)	(50,714)
სულ	(8,397)	(20,071)

22. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2024	2023
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მოგება/ზარალი	(2,063)	753
შემოსავალი იჯარიდან	16,271	25,465
საქველმოქმედო ხარჯი	-	(990)
გრანტიდან მიღებული შემოსავალი	16,193	29,191
სხვა შემოსავალი	110,811	36,654
სხვა ხარჯი	(16,681)	(128,242)
სულ	124,532	(37,169)

23. მოგების გადასახადის ხარჯი

	2024	2023
გამოცხადებული დივიდენდი	515,883	155,947
დარიცხული მოგების გადასახადი	(91,038)	(27,520)
ჩათვლილი მოგების გადასახადი	91,038	27,520
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-

24. წინა პერიოდის გადაანგარიშებები

ჯგუფი 2023 პერიოდის გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც ასწორებს წინა პერიოდის იმ შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის მდგომარეობით

	გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშება	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
	31.12.2023	31.12.2023	31.12.2023	31.12.2023
აქტივები				
მარაგები	5,310,423	(182)		5,310,241
სავაჭრო მოთხოვნები	2,888,523	314		2,888,837
კაპიტალი				
არამაკონტროლებელი წილი	27,773	35,802		63,575
ჯგუფის რეზერვი	1,733	65		1,798

2023 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	გადაანგარიშებამდე	გადაანგარიშება	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
	2023	2023	2023	2023
შემოსავალი	12,346,704	314	411,473	12,758,491
სავაჭრო უფლებების გამოყენებით მიღებული შემოსავალი	411,473	-	(411,473)	-
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(4,543,139)	22,030	(41,499)	(4,562,608)
ანარიცხი არარეალიზებული მოგებისთვის	(41,499)		41,499	-
სათაო საწარმოს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეებზე	529,678	1,112		530,790
არამაკონტროლებელ წილზე	3,060	21,232		24,292

25. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

დაკავშირებული მხარე	ურთიერთობის ხასიათი	ნაშთი დაკავშირებუ ლ მხარესთან 31.12.2024	ნაშთი დაკავშირებუ ლ მხარესთან 31.12.2023	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან 01.01.2023
სვაჭრო და სხვა მოთხოვნები				
შპს სანტა ესპერანსა	სხვა დაკავშირებული მხარე	381,197	391,035	402,326
შპს აპრილი	49% წილის ფლობა	-	8,828	8,828
თინათინ კუხიანიძე	თანადირექტორი	5,428	9,209	13,173
შპს მწვანე სკოლა 404587185	სხვა დაკავშირებული მხარე	-	29	
შპს მწვანე სკოლა 211357020	სხვა დაკავშირებული მხარე	-	52	
შპს მწვანე სკოლა 401959528	სხვა დაკავშირებული მხარე	-	306	
შპს მწვანე სკოლა 405632356	სხვა დაკავშირებული მხარე	-	1,734	
		386,625	411,192	424,327
გრძელვადიანი მოთხოვნები				
გაცემული სესხები				
შპს სანტა ესპერანსა	სხვა დაკავშირებული მხარე	47,578	69,500	69,500
		47,578	69,500	69,500
მიღებული სესხები				
შპს სულაკაურის გამომცემლობა	სხვა დაკავშირებული მხარე			
მიღებული თანხა		290,000	260,000	
დაბრუნებული თანხა		(440,000)	(110,000)	
ნაშთი პერიოდის ბოლოს		-	150,000	
სავაჭრო ვალდებულებები				
შპს აპრილი	49% წილის ფლობა	106,852	81,758	24,779
შპს ინდიგო	5% წილის ფლობა	2,730	2,730	2,730
შპს მწვანე სკოლა 404587185	სხვა დაკავშირებული მხარე			396
		109,582	84,488	27,905
შემოსავლები				
შპს აპრილი	49% წილის ფლობა	23,273	24,516	8,828
გაცივებული საქონლის თვითღირებულება	49% წილის ფლობა	(23,273)	(24,516)	(8,828)
საქონლის შესყიდვა				
შპს აპრილი	49% წილის ფლობა	(116,871)	(93,921)	
შესყიდული საქონლის თვითღირებულება		61,997	43,489	
		(54,875)	(50,432)	
სახელფასო ხარჯი				
თინათინ მამულაშვილი	დირექტორი/პარტნიორი	65,250	65,250	55,250
თინათინ კუხიანიძე	თანადირექტორი	67,750	72,036	73,380
		133,000	137,286	128,630
გაცემული დივიდენდი				
თინათინ მამულაშვილი	პარტნიორი	515,883	155,947	681,968

26. სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდში და მიმდინარე წელს ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე დედა კომპანიას აქვს შემდეგი სასამართლო დავები :

1. შპს სულაკაურის გამომცემლობა ჩართული მესამე პირად ადმინისტრაციულ დავაში

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია შპს „მანა“-ს სარჩელი, მოპასუხეების - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით ბათილად ცნობის შესახებ. 2025 წლის 02 მაისის სასამართლოს განჩინებით, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ საქმეში ჩაება მესამე პირად, უძრავი ქონების ს/ნ: 01.19.22.008.112 ნაწილში. საქმე ეხება კედლის დემონტაჟს.

2. შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წინააღმდეგ

2024 წლის ივლისის თვიდან სასამართლოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა, რომელშიც მომჩივანი არის შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური“. საჩივრით სულაკაურის გამომცემლობა ითხოვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სამართალდარღვევის ოქმებისა და გადაწყვეტილების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი გამომცემლობა და დაეკისრა 5000 ლარის ოდენობით ჯარიმა.

3. შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა განათლების სამინისტროს წინააღმდეგ.

2023 წლის ივლისის თვიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა, რომელშიც მოსარჩელე მხარეა გამომცემლობა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. დავის საგანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების ბათილად ცნობა იმ ნაწილებში, რომლითაც გამომცემლობას უარი ეთქვა მის მიერ წარდგენილი სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების გრიფირებაზე.

ზემოთ მოყვანილი სასამართლო დავები არ წარმოადგენს ქონებრივ დავას, საქმე მიღებულია წარმოებაში და არ საჭიროებს ანარიცხის შექმნას.

რაც შეეხება შვილობილ ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდში და მიმდინარე წელს ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე არ აქვს სასამართლო დავა.

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ჯგუფმა გასცა 75,263 ლარის დივიდენდი.

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ჯგუფის მიმოხილვა

შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა (შემდგომში „კომპანია“) არის 1999 წლის 30 ივნისის დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 150.

საიდენტიფიკაციო კოდი: 204931164.

მარეგისტრირებული ორგანოა ვაკე-საბურთალოს სასამართლო.

კომპანიის დირექტორია თინათინ მამულაშვილი, 01018000166 (საქართველო).

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

50% ბაკურ სულაკაური (01008002734 საქართველო)

50% თინათინ მამულაშვილი (01018000166 საქართველო)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 49%-იან წილს (2021 წლის 9 ივნისიდან) შვილობილ საწარმოში - შპს აპრილი (ს.წ 402186718).

ორივე კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგამომცემლო საქმიანობა და წიგნებით ვაჭრობა.

ჯგუფს მკვეთრად ჩამოყალიბებული საგამომცემლო პრიორიტეტები აქვს; კერძოდ: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, თანამედროვე და კლასიკური პროზა, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ლიტერატურა. მათ მიერ გამოცემული წიგნების შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა და წიგნების შეძენა შესაძლებელია როგორც გამომცემლობის ვებგვერდზე (Sulakauri.ge), ასევე ბრენდულ მაღაზიებში; ვებგვერდი sulakauri.edu.ge კი ძირითადად საგანმანათლებლო ლიტერატურის ელექტრონულ ვერსიებს აერთიანებს. გამომცემლობა რამდენიმე წელია აქტიურად თანამშრომლობს პორტალებთან lit.ge და saba.com.ge, რომლებზეც მკითხველს ქართული და თარგმნილი პროზის ელექტრონული ვერსიების შეძენა შეუძლია.

ჯგუფი ფლობს რამდენიმე მაღაზიას (მისამართები: ჭავჭავაძის გამზ. 15, ცინცაძის ქ. 2, გალერია თბილისი, სითი მოლი, გლდანი მოლი, ისთ ფოინთი, აქსის თაუერი, რუსთავი მოლი, ქუთაისი მოლი, ზუგდიდი მოლის მაღაზია, ბათუმი, გორგილაძის ქ.27, გორი მოლი, აგრეთვე ერთ მოძრავ მაღაზიას) და ელექტრონულ წიგნებს.

მაღალმხატვრული ღირებულების, საინტერესო, მრავალფეროვანი ლიტერატურა, ინოვაციური პროექტები და საგანმანათლებლო წიგნები სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რაც სრულად ამართლებს გამომცემლობის სლოგანს – „წიგნები მთელი ოჯახისათვის“.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფის რეალიზაცია 100%-ით შედგება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობისგან.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2024 წლის განმავლობაში იყო 160, საიდანაც 120 იყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი.

სტრატეგია, განვითარების გეგმა

ჯგუფი გეგმავს მაღაზიების ქსელის გაფართოებას რეგიონების მასშტაბით და საზოგადოების დაკვეთის

გათვალისწინებით, საგამომცემლო საქმეში ახალი მიმართულებების დამატებას.

მიღწევები

საქართველოში ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი გამომცემლობის ისტორია გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს, ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში იწყება. გამომცემლობის დამფუძნებელმა, ბაკურ სულაკაურმა, პოსტსაბჭოთა ქვეყანაში თავისი თარგმნილი წიგნის გამოცემა განიზრახა და სწორედ ამით შეიძინა პირველი საგამომცემლო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ მან მოგვიანებით საგანმანათლებლო სფეროში გადაინაცვლა, 1999 წელს დაფუძნებული გამომცემლობა კვლავ მის სახელს ატარებს და რჩება ლიდერად ქართულ საგამომცემლო ბაზარზე.

დღემ ჯგუფმა ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტი განახორციელა, დაწერა სხვადასხვა ტექნოლოგიური ინოვაცია, არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორი გააცნო მკითხველს, მაგრამ მთავარი, რითიც გამომცემლობის გუნდი ამჟამად, მის მიერ გამოცემული წიგნების მაღალი ხარისხია.

გამომცემლობაში მიაჩნიათ, რომ არიან ლიდერები ქართულ საგამომცემლო საქმეში და მათ მიერ გამოცემულ, თანამედროვე ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს კითხულობენ არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ოცზე მეტ სხვადასხვა ენაზე; მათი ავტორები იმარჯვებენ როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ლიტერატურულ კონკურსებში და არაერთი მათგანი ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბას“ მრავალჯერ ლაურეატია.

ჯგუფი „საქართველოს წიგნის გამომცემლობა და გამავრცელებლობა ასოციაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი პირველი ინიციატორია. ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს პირველი საავტორო კოლექტიური სტენდი სწორედ მათი ორგანიზებით მოეწყო 2007 წელს და იმავე წელს გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორუმზე საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსის მოსაპოვებლად.

„ჩვენ რეგულარულად ვიღებთ მონაწილეობას როგორც საქართველოში გამართულ, ისე საერთაშორისო წიგნის ბაზრობებსა და ფესტივალებზე. განსაკუთრებით გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ განხორციელებულ პროექტებს – როგორიცაა, მაგალითად, „ყველაზე წიგნიერი“ – დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბავშვებისა და მოზარდების წიგნიერების ამაღლებისა და მათი მკითხველებად ჩამოყალიბების საქმეში“, - ამბობს გამომცემლობის დირექტორი.

კომპანია ფლობს შვილობილ საწარმოს- შპს აპრილი - 49%

ასევე ინვესტიციას -შპს გამომცემლობა ინდიგო - 5%

ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მთავარი ფინანსური ინდიკატორები 2024 წლისთვის:

გაყიდვები ხორციელდება ქართულ ლარში.

ამონაგები	13,692,502
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	4,735,725
თანამშრომელთა სარგებელი (ხელფასი)	3,817,105
იჯარის ხარჯი	893,622
მიწოდების ხარჯები	1,677,195

მარკეტინგის ხარჯები	351,028
ცვეთა /ამორტიზაცია	414,337
დაზღვევის ხარჯები	21,228
რემონტი	26,728
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	102,488
საბანკო მომსახურების ხარჯები	93,390
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	3,189
მივლინების ხარჯი	103,316
წარმომადგენლობითი ხარჯები	15,345
სხვა საოპერაციო ხარჯები	490,576
სულ საოპერაციო მოგება	947,230
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	161,353
წმინდა მოგება	1,108,583

რისკების მართვა

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და დავალიანება ყალიბდება საექვო მოთხოვნად. ფინანსური აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:

ჯგუფი საკმაოდ ეფექტურად ახერხებს პარტნიორებთან თანამშრომლობას, და გაწეული მომსახურების სანაცვლო ანაზღაურებას ყოველთვის გონივრულ ვადაში იღებს.

ჯგუფი 2024 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის სხვა ფინანსურ ინსტრუმენტს.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წლის ბოლოს არის 3,282,532 ლარი.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

ჯგუფის ყოველთვიური ხარჯების 30%-ს შეადგენს გადასახდელი ხელფასები. რისკის თავიდან აცილების მიზნით, მენეჯმენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა რომ ფულადი სახით კომპანიის საბანკო ანგარიშზე ყოველთვის იყოს განთავსებული როგორც რამოდენიმე თვის ხელფასის ოდენობის, ასევე მომწოდებლებთან დასაფარი ვალდებულებების თანხა.

სავალუტო რისკი- განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. ჯგუფი დაუცველია უპირატესი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის გავლენისაგან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო ანგარიშებზე განთავსებული თანხა განკუთვნილია მომწოდებლების ვალდებულებების დასაფარად, რაც სრულად აზღვევს სავალუტო რისკს.

31.12.2024 მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე ჯგუფს ჰქონდა დაგროვილი ფულადი სახსრები

აშშ დოლარში- 242 373. მომწოდებლებთან დავალიანება დოლარში წლის ბოლოს შეადგენდა 57,179 აშშ დოლარს, რაც სრულად უზრუნველყოფილია. ასევე დაზღვეულია სავალუტო რისკები დოლარში მომავალი ვალდებულებების დასაფარად.

31.12.2024 მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ფულადი სახსრები დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგში- 16 376, რითაც კომპანია აზღვევს სამომავლო სავალუტო რისკებს.

შვეიცარული ფრანკში და ევროში კომპანიას აქვს საბანკო ანგარიშზე არაარსებითი ნაშთები.

თავის განკარგულებაში არებული თავისუფალი ფულადი სახსრები კომპანიის საკრედიტო რისკს 100% აზღვევს.

საბაზრო რისკები - ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად იზრდება.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, არაფინანსური ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის საქმიანობასთან;

ჯგუფის 2024 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფ. =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$	=	$\frac{10,322,930}{863,108}$	= 11,96
სწრაფი ლიკვიდურობა =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$	=	$\frac{5,458,500}{863,108}$	= 6,32
მოგება საკუთარ კაპიტალი =	$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$	=	$\frac{1,108,583}{12,706,277}$	= 0,09

ჯგუფის 2023 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფ. =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$	=	$\frac{9,892,184}{1,221,482}$	= 8,1
სწრაფი ლიკვიდურობა =	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$	=	$\frac{4,581,943}{1,221,482}$	= 3.75
მოგება საკუთარ კაპიტალი =	$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$	=	$\frac{555,082}{12,113,577}$	= 0,05

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას, რომ მომავალში ჯგუფი შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, ჯგუფს განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

საკადრო პოლიტიკა

ჯგუფი ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. ჯგუფი ცდილობს დაიცვას შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე ჯგუფის

მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. ჯგუფი აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს, განურჩევლად ყველას მისცეს განვითარებისათვის საჭირო თანაბარი შესაძლებლობები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობდა 160 თანამშრომელი, საიდანაც 76% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

უსაფრთხოება

მენეჯმენტი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების და ვიზიტორების უსაფრთხოებას კომპანიის ფლობილ ობიექტებში (ოფისში, საწყობებში და მაღაზიებში). ოფისი განთავსებულია კეთილმოწყობილ შენობაში და სრულად აკმაყოფილებს საქართველოს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებს. ჯგუფს გააჩნია რამდენიმე საწყობი ერთ იურიდიულ მისამართზე და 12 მაღაზია (მისამართები: ჭავჭავაძის გამზ. 15, ცინცაძის ქ. 2, გალერია თბილისი, სითი მოლი, გლდანი მოლი, ისთ ფოინთი, აქსის თაუერი, რუსთავი მოლი, ქუთაისი მოლი, ზუგდიდი მოლის მაღაზია, ბათუმი, გორგილაძის ქ.27, გორი მოლი).

ყველა ობიექტში გათვალისწინებულია და დაცულია უსაფრთხოების ყველა ნორმა.

ჯგუფის სტრუქტურა

ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორი თინათინ მამულაშვილი და თანადირექტორი თინათინ კუხიანიძე. ორივე მათგანს აქვს კომპანიის საქმიანობის სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ჯგუფს მართავს მმართველი საბჭო, რომლის წევრები განიხილავენ კომპანიისთვის საჭირო საკითხებს და იღებენ გადაწყვეტილებებს.

ჯგუფის სტრუქტურა შედგება რამდენიმე დეპარტამენტისგან. თითოეული დეპარტამენტისათვის გაწერილია კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები, რომელთა სწორად შესრულებაზეა დამოკიდებული სამუშაოს ხარისხი. მნიშვნელოვანია, სამუშაოს შესრულებისას ეფექტურად იქნას გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

ბორდი ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა. ბორდის წევრები დირექტორები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები არიან. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. ბორდის კრება იმართება თვეში ერთხელ



ან საჭიროებისამებრ.

ანტი-კორუფციული პოლიტიკა

ჯგუფი იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება ჯგუფის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ ჯგუფში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

მის ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე თარიღით დასრულებული წინასაყის

(ტარიფი დასახსნი)

ან საჭიროებისამებრ.

ანტი-კორუფციული პოლიტიკა

ჯგუფი იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ, ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება ჯგუფის ზიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ ჯგუფში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ზიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს.

დირექტორი: თინათინ მამულაშვილი

ფინანსური მენეჯერი: ნინო თანდაშვილი

